სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა
პროგრამის ხელმძღვანელი	გიორგი გორაძე ლიანა გიორგაძე
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი/Bachelor of Public Administration
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 ECTS (6 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	25.04.2024 №02-24
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	24.06.2026 №05-26

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი და ამოცანები

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

- მისცეს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ფართო თეორიული ცოდნა საჯარო მმართველობის საფუძვლების, მოდელების, სისტემების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, საჯარო მმართველობის ფასეულობების, ღირებულებებისა და ეთიკური სტანდარტების, ძირითადი ტენდენციებისა და გამოწვევების, აგრეთვე საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრის, საჯარო მმართველობის ინსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმების, შედეგზე ორიენტირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციისთვის საჭირო ინოვაციური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის, შესახებ.
- შესძინოს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების, კვლევის, ანალიზის და მათი გადაჭრის ტრადიციული და ინოვაციური გზების ძიების უნარი, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით ;
- განუვითაროს არგუმენტირებული მსჯელობის, დასკვნების ჩამოყალიბებისა და გაზიარების, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებისას კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპების, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვის, აგრეთვე საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების, კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

A. განიხილავს საჯარო მმართველობის საფუძვლებს, ძირითად მოდელებს, სისტემებს და ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმებს, საჯარო მმართველობის ძირითად ტენდენციებს და თანამედროვე გამოწვევებს, აგრეთვე მათი გადაწყვეტის საჭირო მექანიზმებს;
B. აცნობიერებს საჯარო მმართველობის ფასეულობებს, ღირებულებებს და ეთიკურ სტანდარტებს, საჯარო მმართველობის საზოგადოებრივ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებსა და ძირითად პრინციპებს;
C. განმარტავს საჯარო ადმინისტრირების პროცესებს, ადმინისტრაციული წარმოების ძირითად ფორმებსა და ეტაპებს, ადამიანური რესურსებისა და საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლებს.
D. ახდენს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს;
E. ადგენს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დოკუმენტებს, შეიმუშავებს არგუმენტირებულ დასკვნებს და წარმოაჩენს შესაბამისი ფორმით, მათ შორის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებების გამოყენებით;
F. მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე და ატარებს მცირე მოცულობის კვლევას ხელმძღვანელის მითითებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით.
G. იცავს კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებს, ეთიკურ და პროფესიულ ნორმებს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ინდივიდუალურად ან გუნდურად მიღებისას;
H. ორიენტირებულია საჯარო მმართველობის სფეროში სიახლეების მიდევნებასა და ცოდნის მუდმივად განახლებაზე.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, თეორიული ნაშრომი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ჯგუფური პროექტი, პროექტი, დისკუსიაში მონაწილეობა, ანგარიში, დასკვნა, მოდელირება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:	
ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
შეფასების ფორმები და კომპონენტები	

შეფასების ფორმები და კომპონენტები	მაქსიმალური ქულა
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (გარდა რეგულირებადი პროფესიების ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა) და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- ადმინისტრაციულ თანამდებობებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში;
- სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.
კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები
საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რაც შემდეგნაირად ნაწილდება: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 18 ECTS; ინგლისური ენის კომპონენტი 18 ECTS, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 126 ECTS, რომელშიც 6 კრედიტით შედის პრაქტიკული კლინიკა, ხოლო 12 კრედიტით - საბაკალავრო ნაშრომი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 18 ECTS, რომელთაგან სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან. უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1- A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2). საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2). წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გაიაროს საქმიანი კომუნიკაციები, რომლის მოცულობაც 6 კრედიტია. ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის. დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე: ● ინგლისური ენა (A1-A2)- 21 - 51 ქულა ● ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა ● ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა ● ინგლისური ენა (B2) - 72 - 100 ქულა **შენიშვნა:** ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1- A2) დონიდან. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 18 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 6 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2). ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ერთ-ერთ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 18 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს სხვადასხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს მოდულის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI		

სასწავლო კომპონენტი										
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	წინაპირობის გარეშე	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	6/150						29	121
2.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა					6/150		41	109
3.	წინაპირობის გარეშე	ქართული ენის სპეციალური კურსი		6/150					28	122
ინგლისური ენის კომპონენტი										
1.	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1-A2)/ ინგლისური ენა (A2)	6/150						81/55	69/95
2.	deინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1-A2)/	ინგლისური ენა (B1.1)	6/150						55	95

	ინგლისური ენა (A2)									
3.	ინგლისური ენა (B1.1)	ინგლისური ენა (B1.2)		6/150					55	95
4.	ინგლისური ენა (B1.2)	ინგლისური ენა (B2)			6/150				55	95
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	წინაპირობის გარეშე	მენეჯმენტის საფუძვლები		6/150					29	121
2.	წინაპირობის გარეშე	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	6/150						30	120
3.	წინაპირობის გარეშე	საჯარო მმართველობის საფუძვლები	6/150						30	120
4.	მენეჯმენტის საფუძვლები	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი				6/150			26	124
5.	არ გააჩნია	შესავალი სამართალში			6/150				28	122

6.	წინაპირობის გარეშე	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში		6/150					46	104
7.	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; საჯარო მმართველობის საფუძვლები	სამოხელეო სამართალი					6/150		40	110
8.	შესავალი სამართალში	ადამიანის უფლებები				6/150			40	110
9.	საჯარო მმართველობის საფუძვლები	ადმინისტრაციული წარმოების საფუძვლები				6/150			42	108
10.	მაკროეკონომიკის პრინციპები	ფინანსების საფუძვლები			6/150				29	121
11.	წინაპირობის გარეშე	მიკროეკონომიკის პრინციპები	6/150						29	121
12.	მიკროეკონომიკის პრინციპები	მაკროეკონომიკის პრინციპები		6/150					29	121
13.	წინაპირობის გარეშე	მართვა-გამგეობა საქართველოში			6/150				28	122

14.	წინაპირობის გარეშე	სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები			6/150				28	122
15.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	საჯარო პოლიტიკა				6/150			29	121
16.	წინაპირობის გარეშე	ელექტრონული მმართველობა და კიბერუსაფრთხოება						6/150	28	122
17.	ინგლისური ენა (B2)	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)					6/150		42	108
18.	წინაპირობის გარეშე	ფინანსური აღრიცხვა					6/150		42	108
19.	მენეჯმენტის საფუძვლები; შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; საჯარო მმართველობის საფუძვლები; ადამიანური	საჯარო მმართველობის პრაქტიკული კლინიკა						6/150	44	106

	რესურსის მენეჯმენტი; შესავალი სამართალში; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; სამოხელეო სამართალი; ადამიანის უფლებები; ადმინისტრაციული წარმოების საფუძვლები; ფინანსების საფუძვლები; მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები; მართვა-გამგეობა საქართველოში;									
20.	მენეჯმენტის საფუძვლები; შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; საჯარო მმართველობის საფუძვლები; ადამიანური რესურსის მენეჯმენტი; შესავალი	საბაკალავრო ნაშრომი						12/300	11	289

	სამართალში; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; სამოხელეო სამართალი; ადამიანის უფლებები; ადმინისტრაციული წარმოების საფუძვლები; ფინანსების საფუძვლები; მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები; მართვა-გამგეობა საქართველოში;									
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები										
1.	წინაპირობის გარეშე	ევროკავშირი - პოლიტიკა და ინსტიტუტები				+	+	6/150	28	122
2.	მენეჯმენტის საფუძვლები	რისკების მართვა				+	+	3/75	15	60

3.	მენეჯმენტის საფუძვლები	პროექტების მართვის საფუძვლები				+	+	6/150	29	121
4.	მენეჯმენტის საფუძვლები	შესავალი ინოვაციურ მენეჯმენტში				+	+	6/150	29	121
5.	მენეჯმენტის საფუძვლები	საერთაშორისო მენეჯმენტი				+	+	6/150	26	124
6.	მენეჯმენტის საფუძვლები	ლიდერობის შესავალი				+	+	3/75	15	60
7.	მენეჯმენტის საფუძვლები	ოპერაციათა მენეჯმენტი				+	+	6/150	28	122
8.	თანაპირობა: ინგლისური ენა (B1.2)	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია				+	+	6/150	28	122
		სემესტრში	30	30	30	30	30	30		
		წელიწადში	60		60		60			
		სულ	**180**							

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები							
	A	B	C	D	E	F	G	H
საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მისცეს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ფართო თეორიული ცოდნა საჯარო მმართველობის საფუძვლების, მოდელების, სისტემების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, საჯარო მმართველობის ფასეულობების, ღირებულებებისა და ეთიკური სტანდარტების, ძირითადი ტენდენციებისა და გამოწვევების, აგრეთვე საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრის, საჯარო მმართველობის ინსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმების, შედეგზე ორიენტირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციისთვის საჭირო ინოვაციური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის, შესახებ.	√	√	√	√				
შესძინოს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების, კვლევის, ანალიზის და მათი გადაჭრის ტრადიციული და ინოვაციური გზების ძიების უნარი, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით;				√	√	√		
განუვითაროს არგუმენტირებული მსჯელობის, დასკვნების ჩამოყალიბებისა და გაზიარების, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებისას კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპების, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვის, აგრეთვე საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების, კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.						√	√	√

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები							
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)
1.	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	D	P					+			
2.	აკადემიური წერა	D	P						+		
3.	ქართული ენის სპეციალური კურსი	I	D						+		
4.	ინგლისური ენა (B2)	M							+		
5.	მენეჯმენტის საფუძვლები	I	D	+	+	+	+		+		+
6.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	I	D	+	+						
7.	საჯარო მმართველობის საფუძვლები	I		+	+	+	+		+	+	
8.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	D		+	+	+	+	+		+	
9.	შესავალი სამართალში	I		+	+		+			+	
10.	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	I	D	+	+					+	
11.	სამოხელეო სამართალი	D		+	+		+	+		+	+
12.	ადამიანის უფლებები	D		+	+			+		+	
13.	ადმინისტრაციული წარმოების საფუძვლები	I	P	+	+	+		+		+	
14.	ფინანსების საფუძვლები	I		+	+				+		
15.	მიკროეკონომიკის პრინციპები	D	P	+	+	+	+		+		

16.	მაკროეკონომიკის პრინციპები	D	P	+	+	+	+		+		
17.	მართვა-გამგეობა საქართველოში	D		+	+	+	+	+	+		
18.	სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები	I	D	+	+	+		+	+		
19.	საჯარო პოლიტიკა	D		+	+	+	+	+	+		
20.	ელექტრონული მმართველობა და კიბერუსაფრთხოება	D		+	+	+		+	+		+
21.	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)	M		+				+	+	+	+
22.	ფინანსური აღრიცხვა	I	P			+	+	+			
23.	საჯარო მმართველობის პრაქტიკული კლინიკა	P	M	+	+	+		+		+	
24.	საბაკალავრო ნაშრომი	M		+	+	+	+	+	+	+	+

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა				
#	საგანი	სწავლის შედეგები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	+	+	+
2.	აკადემიური წერა	+	+	+
3.	ქართული ენის სპეციალური კურსი	+	+	+
	ინგლისური ენა			
4.	ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1-A2)/ ინგლისური ენა (A2)	+	+	
5.	ინგლისური ენა (B1.1)	+	+	+
6.	ინგლისური ენა (B1.2)	+	+	+
7.	ინგლისური ენა (B2)	+	+	+
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები		s	
8.	მენეჯმენტის საფუძვლები	+	+	
9.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	+	+	+
10.	საჯარო მმართველობის საფუძვლები	+	+	
11.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	+	+	
12.	შესავალი სამართალში	+	+	
13.	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	+	+	
14.	სამოხელეო სამართალი	+	+	
15.	ადამიანის უფლებები	+	+	
16.	ადმინისტრაციული წარმოების საფუძვლები	+	+	
17.	ფინანსების საფუძვლები	+	+	
18.	მიკროეკონომიკის პრინციპები	+	+	

19.	მაკროეკონომიკის პრინციპები	+	+	
20.	მართვა-გამგეობა საქართველოში	+	+	
21.	სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები	+	+	+
22.	საჯარო პოლიტიკა	+	+	
23.	ელექტრონული მმართველობა და კიბერუსაფრთხოება	+	+	
24.	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)	+	+	+
25.	ფინანსური აღრიცხვა	+	+	
26.	საჯარო მმართველობის პრაქტიკული კლინიკა	+	+	+
27.	საბაკალავრო ნაშრომი	+	+	+
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები			
28.	ევროკავშირი - პოლიტიკა და ინსტიტუტები	+	+	+
29.	რისკების მართვა	+	+	
30.	პროექტების მართვის საფუძვლები	+	+	
31.	შესავალი ინოვაციურ მენეჯმენტში	+	+	
32.	საერთაშორისო მენეჯმენტი	+	+	+
33.	ლიდერობის შესავალი	+	+	
34.	ოპერაციათა მენეჯმენტი	+	+	+
35.	შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	+	+	